№ 249 ნოემბერი 23, ხუთშაბათი | 1889 | ნოემბერი 23, ხუთშაბათი № 249

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—8)

ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში:

**ისტორია საქართველოსი**

(უძველეს დროიდამ მეათე საუკუნემდე)

თხზ. დიმ. ბაქრაძისა

ფასი 1 მან.

მოთხრობანი ეკა-ფშაველ ასი

(ლ. რაზიკაშვილისა.)

ფასი 30 კაპ.

(5— 5)

## ახალი ამბავი

*** კვირა ღამეს, ამ თთვის 19-ს, რიყის ქუჩაზე, მის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახლში შემდეგი ამბავი მოხდა: ამ ეზოში საჯინიბო ჰქონია აბრამ ალიხანოვს და იქვე სცხოვრობდა თურმე ვიღაც პეტრე, რომლის გვარიც არავინ არ იცის. აი ამ პეტრეს საჯინიბოში ცხოვრება ალიხანოვს მოჰბეზრებია და გამოუცხადებია, რომ მომშორდი და ნუღარ მოხვალ ჩემთანაო. იმან ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია თურმე და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ალიხანოვმა კვირა საღამოს აღარ შეუშვა საჯინიბოში და ამის გამო ჩხუბიც აუტყდათ. ამ დროს პეტრემ ამოიღო ჯიბიდგან დანა, ალიხანოვს გულის ფიცრის ქვემოდგან შემოჰკრა და გაიქცა. ალიხანოვს ჭრილობა უბრალო ეგონა, ყურადღება არ მიაქცია და სამიკიტნოში შევიდა ღვინის დასალევად. ამასობაში პოლიციასაც გაეგო ეს ამბავი და ალიხანოვი წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. პოლიციამ ბევრი გამოჰკითხა ალიხანოვს, ვინ დაგჭრაო, მაგრამ ალიხანოვმა არა სთქვა დამჭრელის სახელი და გვარი. როდესაც მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს, აქ ექიმებმა გამოაცხადეს, რომ ალიხანოვი ძალიან არის დაჭრილი და მორჩენის იმედი სრულიად არ უნდა გვქონდესო. მართლაც, ამ თთვის 20, საღამოზე, ალიხანოვი გარდაიცვალა საავადმყოფოში და პოლიციას მაინც არ გამოუცხადა თავის მკვლელის სახელი, მხოლოდ ორშაბათს დილით თავის ნათესავებს უთხრა, რომ პეტრემ დამჰკრაო.

*** შარშან დაწესდა ტფილისში საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს ფულითა თუ სასკოლე ნივთებით დაეხმაროს ღარიბს შეგირდებს ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისას. საზოგადოებამ ცოტაოდენი თანხა უკვე შეადგინა. ღარიბმა მშობლებმა მიჰმართეს სამოსწავლო კომიტეტს ქალაქის სკოლებისას და სთხოვეს შემწეობა რამ მიეცათ მათის შვილებისათვის. როგორც შევიტყვეთ, ამ თთვეში რამდენისამე მშობლის თხოვნა უკვე შეასრულა კომიტეტმა და თავის ინსპექტორის ბ-ნ ბარხუდაროვის ხელით დაურიგა მცირეოდენი ფული, რომლიდგანაც, გაჭირების მიხედვით, შეგირდებს ერგოთ ორის მანათიდამ თუმნამდე. მშობელნი, მადლობისაგან თვალცრემლიანნი, დაბრუნდნენ სახლებში და ღმერთს ევედრებოდნენ ამ „საზოგადოების“ გაძლიერებას.

*** თუ რამდენად გაძლიერდა ტფილისში ხმარება ოდესის ფქვილისა, ეს იქიდამა სჩანს, რომ ქალაქში ერთობ ჰმატულობს ფასი ქატოსი, რომელსაც წინად იყიდდით ფუთს ერთ აბაზად. ეხლა-კი მისმა ფასმა აიწია ცამეტ შაურამდე. როდესაც ჩვენებური ფქვილსა ჰხმარობდნენ მეფურნეები, მაშინ ქატო უხვად იყო, რადგან ჩვენებური წისქვილი უფრო სხვილადა ჰფქვავს ხორბალს. ოდესის ფქვილი-კი ორთქლის მაშინაში გამოდის და ამიტომ ძლიერ ნაკლებადა აქვს ქატო.

*** სამშაბათს, 21 ნოემბერს, საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ოპერა „აფრიკელი ქალი“, მეიერბერისა. ვასკო-დე-გამის როლს ასრულებდა ბ-ნი ეილბრუნი, რომელიც ფრანგულად ამბობდა სიტყვებს. თვით აფრიკელს ქალს-კი თამაშობდა ქ-ნი ლატერნერი. დღეს დანიშნულია ბენეფისი ამ ქალისა და წარმოდგენილი იქნება „აიდა“, მუსიკა ვერდისა.

*** **რიონის სადგური**: ამ ორიოდე წელიწადში რკინის გზის სადგურებზე, როგორც სხვა-და-სხვა ქალაქშიაც, დაიმართა მაღაზიები ჩვენებურის ხელ-საქმესი: შალებისა, დარაიებისა, ქამარ-ხანჯლებისა, წვრილმანის გიშრის ნივთებისა და სხვანი. ერთი ამისთანა მაღაზია, სხვათა შორის, რიონის სადგურის დარბაზშიაც გაიმართა. ამ მაღაზიებმა მიიქცია საყოველთაო ყურადღება. დიდის სიამოვნებით ყიდულობდნენ ამ მაღაზიების საქონელს არა თუ ჩვენებურები, თვით უცხოელნიც, რომელთაც ძრიელ მოსწონდათ თავისური ხელოვნება ზოგიერთის ნივთებისა. ამ სახით ძრიელ იმატა თვით ხელ-საქმის წარმოებამაცა და იმათმა ფასმაც აიწია. სამწუხაროდ, რკინის გზის მთავრობამ აუკრძალა რიონის სადგურზე გამართულის მაღაზიის პატრონს ვაჭრობა. უმაღლესი მთავრობა დღეს ყოველ ღონისძიებით სცდილობს წაახალისოს წვრილმანი წარმოება ხალხში და რკინის გზის მთავრობა-კი რად უკრძალავს ასეთის ვიტრინის გამართვას, ვერ გაგვეგია.

*** **საჩინო** (იმერეთი): ძალიან გაძნელებულია ჩვენთვის სიარული ქუთაისში: რიონის მდინარე ამ ხანებში ადიდებულია ავდრების გამო და უხიდობის მიზეზით 50 ვერსის სიშორეზე უნდა მოუაროთ, თუ გინდათ ქუთაისს ჩასვლა. ქურდობამაც ძალიან შეგვაწუხა: აქამდე კიდევ მოსვენებულნი ვიყავით, რადგან აქა-იქ სოფლებში ყარაულები იდგნენ. ახლა-კი ყარაულობა მოსწყინდათ და ქურდობაც გაჩნდა კვლავ. ქურდები უფრო საქონელს იპარავენ. ამას წინად ერთს კაცს მოჰპარეს სამი ცხენი და ქურდები დღემდისაც ვერავინ აღმოაჩინა.

## ათის წლის იუბილეი ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლისა.

სამშაბათს, 21 ნოემბერს, იყო წლიური აქტი და ათის წლის იუბილეის დღესასწაული ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლისა. წირვისა და და პარაკლისის გადახდის შემდეგ დაიწყო თვით აქტიც. საქართველოს ეგზარხოსმა რამდენიმე სიტყვა სთქვა სკოლის ათის წლის იუბილეის შესახებ. საინტერესო იყო სასწავლებლის ანგარიში, რომელიც წაიკითხა სკოლის ინსპექტორმა ალბოვმა. იმას გარდა, რაც უკვე გუშინ-წინ მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში ამ სასწავლებლის შესახებ, აი კიდევ ზოგიერთი ცნობანი ანგარიშისა: წინად ძალიან ცოტა იყო სკოლაში შეგირდები, ათობით ძლივს ითვლებოდა მათი რიცხვი, ეხლა-კი ასზე მეტიც არის. წელს სკოლაში სწავლობს 136 შეგირდი. მათ შორის 93 ქართველია, 6 მეგრელია და 3 გურული (ეტყობა, ინსპექტორის აზრით, გურულები და მეგრელები ქართველები არა ყოფილან). სკოლასთან დაარსებულია აგრეთვე თავ-შესაფარი ობოლ შეგირდებისათვის. ამ თავ-შესაფარში 50 შეგირდია სასწავლებლის ხარჯით. სასწავლებლის ქონება ამ ჟამად 84,000 მან., რომელიც ხელ-უხლებელ თანხადა სძევს თავშესაფარსა და საზოგადოდ ეპარქიულს სკოლას შეს-

## ფელეტონი

### ნიკოლოზ ბარათაშვილი

და

### მისი პოეზია

(შემდეგი *)

პოეტს უყვარს ადამიანი და იმისთვის ზრუნვა მიაჩნია თავის უმაღლეს მოვალეობად. მაშ რამ ათქმევინა პოეტს, თუ არა დიდმა ადამიანის სიყვარულმა, ეს დაუვიწყარი სიტყვები:

„არც კაცი კარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
თუის სოფელში და სოფელს-კი არარა არგოს!“

თავის მოძმე პოეტს არ ავიწყდება მაშინაც-კი, როცა „შავის ბედისაგან“ მეტად გამწარებულია და სწყევლის თავის ბედის საწერელს; მაშინ იგი ბევრ გვარად გატანჯულია და ის-ღა აქვს ნუგეშად, რომ ჩემი თავ-განწირვა ტყუილად ხომ მაინც არ ჩაივლის შთამომავლობისათვისაო, რომ ჩემი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რომ ჩემ მიერ გატკეპნილს ბილიკზე გაივლის უშიშრად ჩემი მოძმე და ჩემსავით აღარ დაიხრის ქედს „შავის ბედის“ წინაშეო („მერანი“).

ჩვენ შევეხეთ აქამდის ხასიათს ჩვენის პოეტის მწუხარებისას და ვნახეთ რამდენად შესანიშნავია, ვნახეთ თუ ამ მწუხარებაში რაოდენი კაცთა სიყვარული გამოსჭვივის იმის ნაწერებიდგან. ეხლა შევეხოთ შინაგანს ძალას ბარათაშვილის პოეზიისას, იმ ძალას, რომლითაც არის ძვირფასი და დაუვიწყარი ჩვენთვის.

ჩვენი პოეტი გულ-წრფელი და ხალასი იდეალისტია. ღრმად შეგნებული აქვს დედა-აზრი და იმ დედააზრს დასტრიალებს მუდამ თავს, იმ დედა-აზრს მოჰყავს მოძრაობაში ყველა იმისი ნამოქმედარი. ეს დედა-აზრია ბუნებითი სინამდვილე, ყოველმხრივი სისრულე, ერთის სიტყვით, მშვენიერება, რომელიც პოეტს დაუდვია საგნად ნამდვილის კაცურის ცხოვრებისა. პოეტი მუდამ ეძებს ამ მშვენიერებას და იმის ძებნაში დალია მან სული. ეს მაღალი აზრი პოეტმა შეითვისა იმით, რომ მუდამ უკვირდება ყოველ თავის გულის ძგერას, მუდამ უფიქრდება ყოველ თავის სულის მოძრაობას და ამ მუდმივის თვალის დევნებითა და გულის-ყურით იმისი არსება თანდათან იწმინდება და ფაქიზდება. ერთს ალაგას („ჩემი ლოცვა“) ცხოვლად აქვს დასურათებული ეს წმინდა სურვილი გასწორებისა და ამაღლებისა:

„ცხოვრების წყაროვ, მასკ წმინდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“

ამ მუდმივის თავის გულის ჩხრეკითა და დაკვირვებით პოეტმა შეიგნო, რომ ეს მშვენიერება არის უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნილება ყოველის კაცურის კაცისა, იმიტომ-რომ პოეტის სიტყვით:

„მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლითაც ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“.

ეს მშვენიერება, რომელზედაც ლაპარაკობს ჩვენი პოეტი, გახლავთ ჰარმონია კაცის ყველა სულიერ ძალსა შორის, ისეთი ჰარმონია, როდესაც სხვა-და-სხვა ძალნი კაცის არსებისა ერთმანეთს-კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ შეთანახმებულნი მხარ-და-მხარ მიდიან, ეფერებიან და შეახამებენ ერთმანეთს. მაგრამ რა არის თავდაპირველად საჭირო, რომ ჰსუფევდეს ზემოხსენებული ჰარმონია ყველა თვისებას შორის? რასაკვირველია, აქ არის უპირველესად საჭირო დაუმახინჯებელი ბუნება კაცისა. აი სწორედ აქეთ არის მიქცეული ყურადღება პოეტისა და ამას მოითხოვს ყოველის კაცისაგან. ჩვენის პოეტის სამართლიანის აზრით, ბუნება და იმისი დაკმაყოფილება უნდა იყოს დადებული ქვა-კუთხედად გონივრულის ყოფა ცხოვრებისა. ყველა შეკავება, შეხუთვა წესიერის მოთხოვნილებისა გამოიწვევს ბუნების დამახინჯებას; პირ იქით, ყველა წრეს-გადასული წადილი დაჰბადავს ჩვენს გულში მხოლოდ სიბრალულს. აკი ამიტომაც პოეტი მწარე ირონიით შენიშნავს:

„სასაცილოა, ბრიყვი რომ ემაწვილობდეს
და საბრალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს!“

პოეტი ჰფიქრობს, რომ ყოველი არსება უნდა ჰმოქმედებდეს და ცხოვრობდეს თანახმად თავის ბუნებისა და დანიშნულებისა. ეს აზრი გამოთქმული აქვს პოეტს ლექსში „სუმბული და მწირი“. აი მოკლედ შინაარსი ამ ყოვლად შესანიშნავის ლექსისა: დაუნდობელის კაცის ხელს მოუგლეჯია სუმბული და გადუტანია ლამაზ და ტურფა ველიდგან თავის სადგურში. მართალია, კაცი არა ჰზოგავს თავის ამაგს, არ აკლებს თავის ზრუნვას, უვლის, რწყავს და ასუფთავებს სუმბულს, მაგრამ ყოველივე ესე ვერ ანუგეშებს ბუნების შვილს; სუმბულს საბრალოდ ჩამოუკიდნია თავი; სადღაა ის წინანდელი სუმბული, სადღაა ის ძველებური ფეროვნება და ნელი სუნი, რომელიც, პოეტის სიტყვით, ათრობდა „სიცოცხლის ჟამთა“. მწირი გაკვირვებული ამ მოულოდნელის ცვლილებით ეკითხავს მიზეზს იმის ნაღვლისას. სუმბული უპასუხებს, რომ სიცოცხლე სიცოცხლედ აღარ მიმაჩნიაო, იმიტომ-რომ:

*) იხ. „ივერია“ 247.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირა მისმა დამაარსებელმა, ეგზარხოსად ნამყოფმა იოანიკემ, რომელიც ეხლა მოსკოვისა და კალომენის მიტროპოლიტია, 38,500 მან. სკოლა დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშ იმყოფება. დიდი მთავრინა ყოველ წლივ აძლევდა ამ სკოლას, ვიდრე მცხეთაში არსებობდა, 200 მან. ეს ფული ეხლაც ეძლევა ტფილისის საეპარქიო სასწავლებელს, რომლის შესანახავად გროვდება შეწირულებანი მთელს ეპარქიაშიაც. მთელს რუსეთში 1872 წელს სულ 16 საეპარქიო სასწავლებელი იყო, 1887 წელს-კი იმათმა რიცხვმა იმატა და 48 შეიქმნა. საქართველოში-კი მხოლოდ ეს ერთადერთი საეპარქიო სასწავლებელია. იმისი დამაარსებელი წინანდელი ეგზარხოსი იოანიკე სწერდა სინოდის ობერ-პროკურორს: საეპარქიო დედათა სასწავლებელი იმიტომ უფრონ საჭირო საქართველოში, რომ სამღვდელოების ოჯახობა ქართულად ლაპარაკობს და სასურველი-კია რუსული ლაპარაკი გავრცელდეს სამღვდელოთა შორის, რომლის წარმომადგენელთაც ხშირად სულ არ იციან რუსული ენა და წერა-კითხვაო.

ანგარიშიდამ სჩანდა, რომ საეპარქიო სკოლის პროგრამა ბევრით არაფრით არის ნაკლები დედათა გიმნაზიის პროგრამაზე. ინსპექტორმა ჩამოსთვალა ყველა სასწავლო საგნები და, თუმცა საეპარქიო სკოლაში ქართულსაც ასწავლიან, იმან, არ ვიცით რა მიზეზით, ეს გარემოება არ მოიხსენია. ანგარიშის ბოლოს-კი სთქვა: ჩვენსა და რუსეთში დაარსებულ საეპარქიო სკოლებში ის განსხვავება მხოლოდ, რომ ჩვენსაში ორი საათია კვირაში დანიშნული ქართულის ენისათვისაო.

ამ აქტზევე მასწავლებელმა სკოლისამ ბ-ნმა იაროსლავმა წაიკითხა თავისი წერილი „დედაკაცის მდგომარეობასა და მოქმედების შესახებ კერპთ-თაყვანის მცემლობასა და ქრისტიანობაში“. აქტს დაესწრო, სხვათა შორის, კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი. ბოლოს მიწვეულმა ხალხმა დაათვალიერა და ძალიანაც მოიწონა შეგირდის ქალების ხელ-საქმე.

◆◆

## ქართული თეატრი

ანუკა ბატონიშვილი, დრამა სამს მოქმედ. დ. მესხისა.

შვილობილი, კომედ. სამს მოქმედ. ა. ყიფიანისა.

უბედურებაა, როცა საზოგადოდ სცენაზედ ცუდს პიესას თამაშობენ და ცუდადაც. უბრალო მაყურებლისთვის, რასაკვირველია, მაგდენად აინუნში ჩასაგდები არ არის ამისთანა შემთხვევა, ერთ-ორს მანეთს დაჰკარგავს და ის იქნება, სხვა არაფერი. მაგრამ ვაი იმ რეცენზენტის ბრალი, რომელიც მეორე დღეს უნდა დაუფიქრდეს წარმოდგენილს, გაითვალისწინოს ნანახი სურათი და იმისი ავ-კარგი და შემდეგ მკითხველს მისცეს ანგარიში. არტისტი თავისს საქმეს ავად იქნება თუ კარგად გააშალაშინებს, საზოგადოება გამოვა თეატრიდგან და არხეინად გაუდგება გზას, და საბრალო რეცენზენტმა-კი სწორედ ტარტარის სატანჯველი უნდა გამოიაროს მეორე დღეს, იჭიმოს ტვინის ძაფები და არტისტებსაც სამართლიანად უთხრას—ეს ასე იყო და ასე-კი უნდა ყოფილიყოვო, პიესის ავტორსაც დაანახვოს ნაწარმოების სიავ-კარგე და თვით საზოგადოებასაც აუხსნას—აი, გუშინ ეს დაესა ჰნახე და ეს კარგად მისაჩნევია და ის-კი—ავადაო.

აი, გუშინ-წინდელი ქართულის დასის არტისტების მიერ გამართული წარმოდგენა სწორედ ამისთანა იყო და იმის ანგარიშის შედგენას ჩვენ სწორედ მთელის პიესის დაწერვა გვირჩევნიან, სულ ერთია, დრამა იქნება ეს პიესა, კომედია, თუ ტრაგი-კომედია. იმისი-კი რა მოგახსენოთ, კარგი იქნება, თუ არა ეს ჩემ მიერ რეცენზიის სანაცვლოდ და სამაგიეროდ შეხანხლული პიესა და ჩვენის სცენის ზოგიერთს პიესებს რომ არ ჩამოუვარდება, ამაში ეჭვი არ არის. და ან პიესის დაწერაზედ ადვილი რა არ არის: შენს გმირებს სახელები მოუგონე, ჩაჰყარე ხუთ-მოქმედებიანს ტაფაში ერთი ჭიქა დრამატიზმი დაასხი, ცოტა სცენის ხელოვნება დააჭერ, სანგლებლად ოდნავ კომიზმიც გაურიე, შესდგი ცეცხლზედ, ერთს ათს წუთს ადუღე ისე, რომ კოვზი არ მოაშორო, და გათავდა საქმე, მერე თუნდა ისტორიულიც-კი უწოდე, გასაღდება.

უნარი, ცოდნა, ნიჭიო? იკითხავთ, მაგრამ ტყუილი თავის მტვრევა მოგივათ: უნარი და ცოდნა ძალიან ძნელი შესაძენია და ნიჭს ხომ გასასყიდადაც ვერსად იშოვნით, დიდი ფულიც რომ გქონდეთ. პიესის დაწერას რომ რაღაც უნარი, ცოდნა და ნიჭი უნდოდეს, მაშინ ჩვენი ქართული დასი წელიწადში ხუთჯერ ვერ გაჰმართავდა წარმოდგენას. ამ რიკრიკაზედ ჩვენის სცენის ბევრი პიესა არ გამოიზომება და არ გამოიჭრება და რადა მე მომთხოვენ, რომ ეს საკაცობრიო საზომი იხმარე შენის პიესისათვის და სწორედ ამ ყალიბზედ ჩამოგვისხიო.

თორემ თუნდა ისტორიული დრამა „ანუკა ბატონიშვილი“ აიღეთ. განა ამ დრამაში უნარისა, ცოდნისა და ნიჭის ნატამალი მაინც იპოვება? ამასაც თავი დავანებოთ. რა არის ისტორიული ამ დრამაში? ის ხომ არა, რომ მოღალატე ცოლს ანუკა ბატონიშვილი ჰქვიან? მარტო ბატონიშვილები ჰღალატობენ თავისს ქმრებს? ისტორიაში ამ ბატონიშვილის ღალატის მეტი საპიესო სხვა აღარა იპოვება-რა? მხოლოდ იმითია შესანიშნავი ჩვენი ისტორია, რომ ბატონიშვილები ქმრებსა ჰღალატობენ? ან რომელს ისტორიაში ამოიკითხა ამ ღალატის ამბავი?

მეორე გუშინ წინ წარმოდგენილის პიესის ამბავი უფრო საუცხოვოა. ქართული თეატრი ამ რამდენისამე წლის წინად არდგენდა ფრანგულიდგან გადმოთარგმნილს მშვენიერს პიესას „ჟან-ბოდრის“. ეს „ჟან-ბოდრი“ მთარგმნელმა წაიღო მგონი და აღარ დაანება არტისტებს რაღაც შესაწყნარებელის მიზეზის გამო. იმის გამოჯავრებული ამხედრებულა კალმით ერთი ჩვენი არტისტთაგანი და ზეპირად გადაუპეთულებია. ჯერ გადაუნათლავს და „ჟან-ბოდრისთვის“ «შვილობილი» დაურქმევია და მერე-კი წასულა და წასულა, რაც დახსომებია, უთავ-ბოლოდ გაუახლებია, რაც არა-და, თითონ შეუვსია და მერე როგორ? ჩვენს მტერსაც-კი აცილოს ღმერთმა მეორედ იმის მოსმენა! მთელს პიესაში მსმენელს მარტო დედალისა და მამალის კურდღლის სახელი და კოცნის ტლაშატლუში ესმის.

ჩვენებურად დრამის წერა ხომ ფრჩხილის მოჭრაზედ ადვილია და დრამატიულ არტისტად ყოფნა - კი კაკლის ნაჭუჭადაც არა ჰღირს. დრამატიული არტისტობა გინდა, მაგაზედ ადვილი რაღაა? კისერი გადიგდე სცოდვავად, თვალები გიჟ მოზღვერივით აიბრიალე, ვაი და უში გაამრავლე, იგმინე და იკვნესე და მორჩა და გათავდა საქმე. სწორედ ამისთანა სურათს წარმოადგენდნენ ქართულს სცენაზედ გუშინ-წინ ბ-ნი სვიმონიძეცა და შათირაშვილიც, რომელნიც «ანუკა ბატონიშვილში» დრამატიულს როლებსა თამაშობდნენ. ბ ნი შათირაშვილი ხომ სალაპარაკოდაც არა ჰღირს, დრამატიული არტისტი არასოდეს გახდება და ტყუილად ჰკიდებს ხელს ამისთანა როლების შესრულებას. სამწუხაროდ, ბ-ნს სვიმონიძესაც დიდი ნაკლი დაეტყო: ეს ნაკლი ბრალიანად და უბრალოდ წარბების მოღუშვა და თვალების ტრიალია და აგრეთვე ყველა სიტყვის დიდის მნიშვნელობით და ხაზის გასმით გამოთქმა. ბ-ნ სვიმონიძესათვის უბრალო და უმნიშვნელო ფრაზა თითქმის არა არსებობს მთელს თავის როლში. უბრალო სიტყვა „პური მშიან“ რომ ჰქონდეს სათქმელი, ამ ორს სიტყვას ისეთის სახის მეტყველებითა და თვალების გადაბრუნებით იტყვის, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საქმე უნდა გადასწყვიტოსო.

ზანოლიძე

◆◆

## ქალაქის საბჭო

20 ნოემბერი

საყურადღებო საგანი ორშაბათის კრებისა იყო გამგეობის სარჩევლი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეხმაროს ქალაქი მთავრობას სატეხნიკო სკოლის გამართვაში. როგორც სარჩეელი მოგვითხრობს, შარშან გაზაფხულზე უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა წინადადება, რომ რუსეთის იმპერიის სხვადა-სხვა ქალაქებში დაარსდეს საშუალო სასწავლებელნი შუათანა ხარისხისა და აგრეთვე პირველ - დაწყებითი სასწავლებლები. თანხმად ამ გარდაწყვეტილებისა, ერთი შუათანა სასწავლებელი ერგო კავკასიასაც. ამ საქმეზე შემდგა პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია, რომელმაც კავკასიის ქალაქთა შორის სატეხნიკო სასწავლებლის გამართვა არჩია ქუთაისში, თანაც იმ პირობით, რომ ამ სასწავლებელს მოეხმარდეს ის 100,000 მანათი, რომელიც ტფილისმა გადასდო კავკასიის უნივერსიტეტის გამართვაზე, აგრეთვე ის ფული, რომელიც ამავე საგანზე იკისრა ქუთაისის ბანკმა. 1888 წლის გასულს ქალაქის თავი ბ-ნი მატინოვი პეტერბურგში იყო და, რაკი გაიგო, რომ კომისიას ქუთაისში გადაუწყვეტია სატეხნიკო სკოლის გამართვა და თან ამ სასწავლებლისთვის დაუნიშნავთ ტფილისის საუნივერსიტეტო თანხა, სთხოვა კომისიას, რომ სატეხნიკო სასწავლებელი გამართულ იქმნას ტფილისში და არა იმ პირობით, რომ საუნივერსიტეტო თანხა ამ საქმეს მოხმარდეს. კომისიამ შეიწყნარა ბ-ნ მატინოვის თხოვნა და გადასწყვიტა, რომ სასწავლებელი დაარსდეს ტფილისში და რადგან საუნივერსიტეტო თანხიდამ დღეს მომეტებული ნაწილი სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის არის დახარჯული და ჯერ გვიან ადგება ეს ფული, ამიტომ ამ თანხის მიუხედავად გაიმართოს ხსენებული სასწავლებელიო, მხოლოდ ქალაქმა მაინც რამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს მთავრობას ამ საქმეშიო. შემდგომ სარჩეელი მოგვითხრობს, რომ მართალია, ჩვენ დიდად მოხარულნი უნდა ვიყვნეთ ასეთის ბედნიერების გამო, რომ ჩვენს ქალაქს მიენიჭება შუათანა სატეხნიკო სასწავლებელი და ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ შევწეოთ აღმოვუჩინოთ მთავრობას ამ ჩინებულს საქმეშიო, მაგრამ დღეს ქალაქის სიმდიდრე ძალიან მცირეა და ამიტომ მაგდენს ვერას და-

---

არდა მეგლება გარე წყარო, ცივი გამგამი,
არდა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არდა უჩრდილებს.

მწირი ეუბნება, რომ სუსხიანი და მკაცრი ზამთარი მოგიღებს ბოლოს ყველა შენ მეგობრებივით, ვინიცობაა იმათსავით კარში დარჩიო. ამაზედ სუმბული სამართლიანად მიუგებს:

„ზამთრით ბუნება არა ჰკვდება,—სჯგდით იმოსვის“.

ამ საუცხოვო ლექსში მეტად ღრმა აზრია და შეეხება არა მარტო კერძო კაცის ცხოვრებასა და ბუნებას, არამედ მთელს საზოგადოებას, მთელს ერსაც. ყოველი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი კერძოდ სცხოვრობს თავის საკუთარს ნიადაგზედ, რომელიც შეეფერება იმის ბუნებას; ამ ნიადაგის ჰაერით სულდგმულობს, აქ შეუთვისებია ესა თუ ის შეხედულობა, ესა თუ ის ცნება; მხოლოდ აქ იფურჩქნება და ხარობს; მხოლოდ აქ, ამ თავის საკუთარს ნიადაგზედ, ჰყვავის და იძლევა უხვს ნაყოფს. მოაშორეთ თავის ნიადაგს, თავის წარსულს, დაწყვ-დაბადებით შეჩვეულს არე-მარეს და ვითომც სიცოცხლე წაგირთმევიათ, გადაგიგვარებიათ, გადაგიშენებიათ. მაშასადამე, ყველაფერს თავისი ბუნება აქვს და ამ ბუნებაზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილი, სრული ადამიანობაც. ხოლო ბუნება არის მარტო ნიადაგი, რომელიც შეგნებით უნდა შეიმუშაოს კაცმა, უნდა ყოველ მხრივ ავარჯიშოს და მისცეს თავისუფალი ზრდა ყველა იმ ცალკე სიმდიდრეს, რომელიც ერთად შეადგენს კაცის ბუნებას. მხოლოდ ამ პირობის დაცვით, მხოლოდ მუდმივისა და მრავალ-კერძოს განვითარებით ბუნებისაგან მომადლებულ ნიჭისა ადამიანი იქცევა სრულ კაცად. ერთის სიტყვით, მრავალ-კერძო განვითარება არის საგანი, უმაღლესი საწადელი და ბედნიერება კაცისა. ცხადია აქედგან, რომ ყოველივე, რაცკი ხელს უწყობს კაცის ბუნების შემუშავებას, მის განწმენდასა და ამაღლებას, ყოველივე ეს, პოეტის აზრით, სამართლიანია და ყოველსავე ამას უნდა დაეთმოს შესაფერი ადგილი კაცის ცხოვრებაში. მაშასადამე, სიამოვნება, სიმხიარულე გულისა, სიყვარული, ფიქრი თავის მოძმესათვის, მოღვაწეობა საზოგადო საქმისათვის, მამულიშვილობა, — ყოველივე ესე სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. პირ-იქით, პოეტი გვეუბნება:

მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ისე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა.

აქედგან სჩანს, როგორ ფართოდ ესმის პოეტს ცხოვრება, რა სიღრმე სიგანითა და სისრულით დაუხატნია თავისათვის დანიშნულება კაცისა. ქვემოდ ჩვენ განვიხილავთ, როგორ ესმის ჩვენს პოეტს სიყვარული, როგორა აქვს წარმოდგენილი სამსახური საზოგადოებისათვის და მამულიშვილობა, რომ ამით უკეთ წარმოვიდგინოთ თვალ-წინ პოეტის მიერ დახატული სურათი კაცის იდეალისა.

სიყვარული, ვითარცა წმინდა და მაღალი გრძნობა კაცის ბუნებისა, ჰპოულობს სრულს თანაგრძნობას ჩვენის პოეტის გულში. იგი ჰფიქრობს, რომ ეს გრძნობა არის ძლიერი მოთხოვნილება ბუნებისა და იმისი დახშობა საკეთილო არავისთვის არ იქნებაო. აკი ამიტომაც პოეტი ამბობს:

«ჭაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ
დილა გინათებსთ
და სიყვარული გულის ჭირთაც გისიამოვნებსთ,
არ დაიხნიოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარისხოცეთ ცრემლიცა მწარნი».

მეტად საყურადღებოა, როგორ გვიხატავს სიყვარულს ნ. ბარათაშვილი, საყურადღებოა მით უფრო, რომ ეს გრძნობა შეუმკია არა ერთისა და ორის ნიჭიერ პოეტის კალამს, ამავე გრძნობას უძღვნეს მრავალი მშვენიერი ლექსი ჩვენმა ახალმა პოეტებმა: ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა. ამათ დაგვიხატეს სიყვარული ვითარცა ძლიერი, წმინდა და უსაჭიროესი გრძნობა, ურომლოდაც ბედნიერი ცხოვრება შეუძლებელია. გრ. ორბელიანი პირდაპირ აღიარებს ერთს ალაგას:

უსიყვარულოდ სასუფეველი
ვით საპყრობილე ჩემთვის შექმნეს.

თითქმის ამ გვარადვე უყურებს სიყვარულს ალექსანდრე ჭავჭავაძეც: უსიყვარულოდაო, ამბობს პოეტი:

სოფელი მზანს საპყრედ,
სადგურად ოდენ მკვდრების.

როგორც ალ. ჭავჭავაძეს, ისე გრ. ორბელიანს სწამთ მხოლოდ ნამდვილი, ღრმა სიყვარული, რომელიც არა ჰქრება არც ხანგრძლივობით, არც სიშორით და არც მწუხარებით, პირიქით, პოეტის სიტყვით (გრ. ორბელიანი),

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა,
დამბერველ ეშხის ცეცხლისა;
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი
უზომო სიყვარულისა.

მეორე ალაგს იგივე პოეტი გვეუბნება:

რა ჩემებრ გული კლდოვანი
მიიღებს ეშხის ნაშვდსა,
დრო იმას ვეღარ შემუსრავს,
თუ არ შემუსრავს თვით კლდესა.

მეორე პოეტი ამბობს:

გავს, ნამდვილი ტრფიალება
მოშორებით არ განქრება.

აქედგან სჩანს, რაოდენ ღრმად ესმით ჩვენს პოეტებს სიყვარული, მაგრამ სიყვარული დახატული ნ. ბარათაშვილის ხელით არის უფრო მაღალი, ძლიერი და ფრთა-გაშლილი. ჯერ ეს ერთი, რომ ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის სიყვარულს ეტყობა ზოგჯერ თვისება ხორციელის სიყვარულისა, ხასიათი აქვს უფრო ხორცით

გვხმარებითო. მთელი ჩვენი შემწეობა ის იქნება, რომ წლიურად სამას თუმანს მივცემთ სასწავლებელს და ორას დღიურს საქალაქო მიწას დავუთმობთ, ვიდრე ის სასწავლებელი იქნება ჩვენს ქალაქშიო.

ამ საჩივრის თაობაზე ხმოსანთ განაცხადეს, რომ ეგ დახმარება ისე მცირეა, რომ ჩვენ სიამოვნებით უნდა დავეთანხმოთ გამგეობასაო. მხოლოდ ბ-ნმა ივანენკომ სთქვა, რომ ვაი თუ აგეთი მცირე დახმარება იცოტაოს მთავრობამ, ან სხვა რომელმამე ქალაქმა კავკასიისამ უფრო მეტი შემწეობა მისცეს მთავრობას და მაშინ ვაი თუ სრულებით უარი სთქვან ტფილისში სატეხნიკო სასწავლებლის გამართვაო. ამიტომ კარგს ვიზამთ, ერთი ხუთასი თუმანი მაინც გადავდოთ ამაზე წლიურადაო. სამაგიეროდ, ორას დღიურ მიწის ნაცვლად მივცეთ ქალაქში ოთხი დღიური მიწა, რადგან სასწავლებლის საჭიროებისათვის სრულებით საკმარისი იქნება ეს მიწა—აიშენებს თავისთვის სახლსა და სხვა მოწყობილობას. მომეტებულს მიწას-კი სრულებით ვერაფერში გამოიყენებსო.

ამაზე ქალაქის თავის მოადგილემ ბ-ნმა იზმაილოვმა უპასუხა, რომ მომეტებულის ფულის მიცემა ქალაქის ხაზინას არ შეუძლიანო. რაიცა შეეხება ოთხ დღიურ მიწას, რომელზედაც უნდა აშენდეს სასწავლებლისთვის სახლი, ქალაქს საუბედუროდ მაგეთი მიწა არა აქვს მარჯვე ადგილას და ქალაქის ნაპირებში ხომ შეუძლებელია მაგ გვარ სასწავლებლის გამართვა. ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ სამინისტროებს უკვე გადაჭრილი აქვთ წელიწადში სახლის ქირა ამლიონ სამას თუმანზე მეტი. მაშასადამე, იმათ მზა სახლის დაქირავება აქვთ განზრახული და ახლა ჩვენ რომ ჩამოვაგდოთ ლაპარაკი სასახლე მიწის შესახებ, მოსალოდნელია, რომ სასწავლებლის გამართვამ ძრიელ დაიგვიანოს—მანამ ადგილს აირჩევენ, მანამ სახლის გეგმას შეადგენენ, მანამ იმას ააშენებენ, ვინ იცის, როდემდის გასტანს ეგ საქმე. ეს მოსაზრებაც რომ არ იყოს, ჩვენ ცნობა გვაქვს ბ-ნ მატინოვისაგან, რომელიც დღეს პეტერბურგშია, რომ სამასი თუმანი ფული და ორასი დღიური მიწა საკმარის დახმარებად უცვნიათ პეტერბურგშიო. ახლანი მიწა იმაზე მოუნდება სასწავლებელს, რომ გამართოს აქ საკუთარი სამეურნეო და სამრეწველო-ტეხნიკური მოწყობილობანიო.

ამ ბაასის შემდეგ კრებამ შეიწყნარა გამგეობის საჩივარი.

მეორე საყურადღებო საგანი, განხილული საბჭოს მიერ, იყო თხოვნა ადათია ტერ-ასატუროვისა, რომელსაც საჰარხი მაშინა აქვს გამართული მდათოვის კუნძულზე. შარშან გაზაფხულზე მტკვარმა დიდი ზიანი მისცა ტერ-ასატუროვის მაშინას.

პატრონმა წინათვე სთხოვა გამგეობას: ნება მომეცით კედელი გავავლო ჩემს მამულს, რომ წყალმა არ გამიფუჭოს ქარხანაო, მაგრამ გამგეობამ უარი უთხრა, და ამის შემდეგ დასტყდა ზარალი ქარხნის პატრონს. ამ თხოვნამ ძრიელ ცხარე ბაასი გამოიწვია საბჭოში. ვინც-კი ჩვენს ხმოსნებში კარგ მოლაპარაკედ და ორატორად ითვლება, ყველამ გაჰკიცხა უარი გამგეობისა: რა ნება გვქონსო, რომ უარი ვუთხრათ პატრონს და სიმაგრისთვის კედელი არ გავავლებინოთო, დიდი უსამართლობაა მაგოდენა ზარალის მიცემაო და სხვანი. ცხარედ ლაპარაკობდნენ ხმოსნები კვანჩულოვი, მელიქ-კარაკოზოვი, ჩოლოყაშვილი, მიქელაძე, იოანისიანი და სხვანი. აზრი მათის ნალაპარაკევის ის იყო, რომ ტერ-ასატუროვი პატრონია თავის მამულისა კუნძულზე, როგორც მუხრანსკი, ორბელიანი, მირზოევი და სხვები. ამ მამულებს აგირავებენ ბანკებში, როგორც საკუთრებას. მაშ რაღა უფლება უნდა გვქონდეს დავუშალოთ სიმაგრეების გაკეთებაო.

გამგეობამ ამაზედ მიუგო, რომ მადათოვის კუნძულის მფლობელნი პირობით არიან მაგ ადგილზე. ვორონცოვმა რომ დაურიგა ეს მიწები, პირობად დაუდო, რომ თუ ყველანი ერთის დროს და ერთის გეგმაზედ გააკეთებთ კუნძულის გარშემო კედელს, მარტო მაშინ იქნებით პატრონებიო, არა-და, მამული უნდა იყოს ქალაქისაო. თუ მაინცა და მაინც გინდათ შესცვალოთ ეს პირობა და მისცეთ ნება კედლის აშენებისა ტერ-ასატუროვს, ისე მაინც მოვიქცეთ, რომ მაგ კედელმა წყალ-დიდობაში ზარალი არ მისცეს რიყის მცხოვრებლებსაო. ამიტომ საჭიროა ეს თხოვნა და მთელი კუნძულის მდგომარეობა გადაეცეს ტეხნიკოთა კომისიას და რასაც ისინი დაადგენენ, იმისდა მიხედვით დავაბოლოთ საქმეო.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, ქალაქის თავის მოადგილემ დაადგინა საკენჭად ორი საკითხი: 1) საქმე გადაეცეს კომისიას, რომელმაც ერთის თვის განმავლობაში უნდა განიხილოს და თავისი აზრი წარმოუდგინოს საბჭოს; 2) ახლავე მიეცეს ტერ-ასატუროვს ნება კედლის აშენებისა, ხოლო საქმე გადაეცეს კომისიას და, თუ კომისიამ საზარალოდ სცნა ეგ კედელი, ტერ-ასატუროვი ვალდებული იყოს დაქციოს იგი. პირველი წინადადება გამგეობისა იყო, ხოლო მეორე—ხმოსნებისა. კენჭის ჩამოტარების შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო წინადადება გამგეობისა.

## საგეოგრაფიო საზოგადოების კრება

(20 ნოემბერი)

20 ნოემბერს იყო საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა კრება შტაბის სადგურში. თავმჯდომარეობდა გენერალი ზელიონი, მაგიერად ტროცკისა, რომელიც რუსეთში იქმნა გადაყვანილი და ამიტომ იძულებული შექმნა სამუდამოდ თავი დაენებებინა ამ საზოგადოების თავმჯდომარეობისათვის. ზელიონმა კრებას მოახსენა, რომ ტროცკის დიდი სამსახური მიუძღვის წინაშე ჩვენის საზოგადოებისაო. იმის დახმარებით და შემწეობით დღეს საზოგადოება უკეთესს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე წინა დროსაო.

საზოგადოების საქმის-მწარმოებელმა ლ. ზაგურსკიმ მოკლედ აღუხსა წლიური მოქმედება საზოგადოებისა: ჩვენი საზოგადოება იკვლევს კავკასიას ეთნოგრაფიულად, ლინგვისტიურად, გეოგრაფიულად და სხ. განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებამ მიაპყრო კავკასიონის ქედებისა და მყინვარების გამოკვლევას. ამ საგნის შესახებ უკვე რამდენიმე საფუძვლიანი ნაწერი დავბეჭდეთ ჩვენს ჟურნალშიო. იმავე მთებს იკვლევენ უცხოელნიცაო, მეტადრე ალპის კლუბის წევრნი, რომელნიც, სამწუხაროდ, ჩვენის მეცნიერების გამოკვლევას ყურადღებას არ აქცევენო.

ლინგვისტიურ ნაწერებ შორის შესანიშნავია განსვენებულის უსლარის ხელთ-ნაწერებიო. უსლარმა დასტოვა გამოკვლევა ავარელთა, ჩეჩნელთა, აფხაზთა, სვანთა და სხვ. მთიულთა ენებისაო. მანვე შეადგინა ანბანი ამ ტომთა ენებისათვის. ხოლო ამ ბოლოს დროს გამრავლდნენ ცრუ-მეცნიერნი, რომელნიც რყვნიან უსლარის ძვირფასს ნაშრომსა. იმის ანბანის მაგიერ სხვას ადგენენ, მაგრამ ეს ანბანები სრულიად გამოუსადეგარნი არიანო. ყოველივე ეს მოვახსენეთ სამეცნიერო აკადემიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტს. ამ უკანასკნელისაგან მივიღეთ მოწერილობა, რომ უსლარის ნაწერები შეუცვლელად დაიბეჭდოსო, რათა მთიულთ მიეცეთ სახსარი, გონიერად შედგენილის ანბანის შემწეობით, შეისწავლონ წერა-კითხვა და იგემონ სიტკბოება განათლებისაო.

საზოგადოების წლიური შემოსავალი 13,350 მან. არის, რომლიდგანაც, ხარჯს გარდა, საზოგადოებას დარჩა 6,586 მან. შარშანდელზე წელს მეტი შემოვიდა 383 მან.

საანგარიშო წელს საზოგადოებას მოაკლდნენ წევრნი: ბაღდანოვი და სარაჯიშვილი, რომელნიც გარდაიცვალნენ და რომელნიც თავის ნაწერებით დიდად შეეწეოდნენ საზოგადოებას.

ამავე კრებაზე წაიკითხა თავისი მოხსენება ბ-ნმა ზეიდლიცმა შესახებ კავკასიონის დასავლეთის მხრის მწვერვალთა და მყინვართა. კრებას მოახსენდა აგრეთვე ცნობები შესახებ მალაკოსევიჩის არარატის მწვერვალზე ასვლისა ამ წელს. მალაკოსევიჩთან უმგზავრნია იმის ვაჟსა და ქალს. მწვერვალზე ყინვა ყოფილა 50°/-ი.

# დეპეშა

20 ნოემბერი

რეველი. დღეს იუსტიციის მინისტრის ნება-დართვით დაიწყეს მოქმედება ესტლანდიის გუბერნიაში სამოსამართლო დაწესებულებათ.

ვენა. მთავრობის გაზეთი „Nemzett“-ი აცხადებს, რომ შეიძლება ამ მოკლე ხანში ტისსამ სამსახურს თავი დაანებოსო. ტისსას მოადგილედ უეჭველად კალლაი იქნებაო.

კაირო. ემინ-ფაშამ აუწყა ეგვიპტეს მთავრობას, რომ ზანზიბარში მოვედიო.

21 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ჰბძანა, მადლობა უთხარით ნოვოოსკოლის თავად-აზნაურობასა და ბორისოგლების ერობას იმ ადრესებისათვის, რომელიც ამათ შემოიტანეს საგლეხო და სასამართლო დაწესებულებებში ცვლილებათა შემოღების გამოო.

დანიშნულ იქმნენ: ელლინთა მეფის წინაშე წარგზავნილი ელჩი ბიუცოვი სპარსეთის ელჩად, ხოლო იმის ადგილზედ ათინაში—სტამბოლის საელჩოს სოვეტნიკი ონუ, კორპუსის საგენერალო დესპანი ქადიეკი—სტამბოლში ონუს ადგილას.

კერძო რკინის გზებზე ახალი შტატი ინსპექტორთა 1890 წლის 1-ლ იანვრიდგან იქმნება შემოღებული.

„Новое Время“ გვაუწყებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ამ ხანებში გაარჩიოს იმის საქმე, დაენიშნოს თუ არა საქველმოქმედო და სამადლო საზოგადოებათ სახელმწიფო კანტროლიო. ლაპარაკი აგრეთვე იმაზედაც არის ჩამოგდებული, რომ ზოგიერთ ამისთანა საზოგადოების წევრებს შეწირულებათა გამო სახელმწიფო სამსახურის უფლებანი აღარა ჰქონდეთ მინიჭებულიო.

ჩარჯუი. ამ წლის იანვრის 1-დგან

---

დატკბობის გრძნობისა, რომელიც, ცოტა არ იყოს, უშლის ლექსის შინაარსის მშვენიერებასა და სიღრმეს. მართალია, ცხოვრებაში დატკბობა არის ნაწილი ყოველ-გვარის სიყვარულისა, თუნდ უწმინდესისაცა, მაგრამ როდესაც პოეტი საჯაროდ ლაპარაკობს თავის გრძნობის შესახებ, გადაუშლის მკითხველ საზოგადოებას სიყვარულის სურათს, მაშინ უსათუოდ უნდა სცდილობდეს გააძროს და მოაშოროს სიყვარულის სურათს ხორციელი კანი, რომ იგი სურათი დაესახოს მკითხველს უფრო იდეალურის სახით. პოეტი სცდილობს თავისის მძლავრის გამოხატულობით ღრმად ჩაუნერგოს მკითხველს ესა თუ ის სურათი და ამით აამაღლოს მისი სულიერი არსება, და ეს სურათი, რაც უფრო მეტად მოკლებული იქნება ხორციელობას, მით უფრო ცხოვლად ჩაიხატება კაცის გრძნობა-გონებაში. აი სწორედ ამ ნაკლისაგან არ არიან ხოლმე თავისუფალნი ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისა და ეს გარემოება ამცირებს იმ ლექსთა მშვენიერებას. ჩვენის აზრის დასამტკიცებლად არ მოგვყავს ნიმუშები ზემოხსენებულის პოეტების ნაწერებიდგან, იმიტომ რომ, ვისაც გადაუკითხავს მათი თხზულებანი, უეჭველია დაგვეთანხმება, რომ ზემოხსენებული ნაკლი მართლაც ემჩნევა იმათ პოეზიას.

ნ. ბარათაშვილს სიყვარული-კი მოკლებულია ამ ნაკლს, იგი მეტად განწმენდილია და განსპეტაკებული. მეორე თვისება, რომლითაც ნ. ბარათაშვილის სიყვარული აღემატება ამავე გრძნობას ზემოხსენებულ პოეტებისას, არის შემდეგი: საქმე იმაში გახლავთ, რომ როგორც ალ. ჭავჭავაძისა, აგრეთვე გრ. ორბელიანის სიყვარულს აქვს უფრო პირადი ხასიათი, პირადი დანიშნულება. სიყვარულიო, ამბობენ ეს პოეტები: საჭიროა ბედნიერის ცხოვრებისათვის, ხოლო ეს ბედნიერება არის ბედნიერება კერძო კაცისა, ცალკე აღებულის ადამიანისა. ნ. ბარათაშვილი-კი უფრო შორს მიდის, იმას უფრო ფართოდ ესმის დანიშნულება ამ გრძნობისა, სიყვარულს მიაწერს ზოგადს მნიშვნელობას. ჩვენის პოეტის აზრით, ნამდვილი, წმინდა სიყვარული არ განისაზღვრება პირადის გრძნობით, არამედ მან უნდა ნათელი მოჰფინოს ზოგადს ცხოვრებას, იგი უნდა იყოს „გამთბუნებელი სოფლისა“, როგორც ამბობს პოეტი („არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის თქმა“). ყველა ამას უკეთ დავინახავთ, როდესაც ქვემოდ უფრო ვრცლად შევეხებით ამ საინტერესო საგანს.

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს მთელის სისრულით სიყვარული ჩვენის პოეტისა, იმდენად ძლიერია ეს გრძნობა და იმდენად უანგაროა და განუსაზღვრელი! ჩვენ არა გვაქვს ნება არ დავუჯეროთ პოეტს, მერე ისეთს გულ-წრფელს და გულ-ახდილს, როგორიც არის ნ. ბარათაშვილი, როდესაც იგი გატაცებული ამბობს:

«შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელებელს,
გულსა დავი[illegible] დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს.

ჩვენ განცვიფრებულნი ვდგევართ პოეტის წინაშე და ვკვირობთ, ნუ თუ შესაძლოა დაიტიოს გულმა ეგეთი ძლიერი გრძნობა?! მაგრამ კიდეც მაგაშია სიდიადე ჩვენის პოეტის ბუნებისა, რომ მისთვის გაუგებარი საქმეა განაწევრება გრძნობისა, დუნე, სულით და ხორცით მოშვებული გრძნობა. იმას უყვარს ყოველისფერში სისრულე და ნათელი; აკი ამიტომაც იმის გრძნობას არა აქვს საზღვარი; პოეტის სიყვარული თავის სიდიადით დაედარება თვალ-გადაუწვდენელ უნაპირო ზღვას. როგორადაც ძლიერია გრძნობა ჩვენის პოეტისა, იმდენად ძლიერია გამოხატულობა ამ გრძნობისა. ნ. ბარათაშვილს აქვს ერთი ლექსი, სადაც დიდის ძლიერებით არის გამოთქმული ჩუმი, მაგრამ მით უფრო მძლავრი გრძნობა. ეს ლექსი („ჩინარი“) იმდენად მშვენიერია, რომ ვგონებთ თვალ-საჩინო ალაგს დაიჭერს მსოფლიო პოეზიაშიაც-კი. თავის აზრის დასასურათებლად პოეტი მიჰმართავს უსულო ბუნებას. მტკვრის პირას მაღლობ ადგილზედ სდგას ლამაზი ჩინარი; ამ ჩინარს ფერხთა ევლება და ელერსება მტკვარი; მტკვარი მოუსვენრად ოხრავს და კლდეს ეხლება: რამდენჯერაც ქარი შეარხევს ჩინარს, იმდენჯერ მტკვარი უმეტესად ოხრავს, თითქო შურით შეშფოთებულაო. პოეტი დასასრულ ამბობს:

«ესრედ იდუმალ, მაგრამ ძლიერად
დაიტანჯების მარად მიჯნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა
ტრფიალებისა ცეცხლით უცხოური!

ამ ნაირის ძლიერის გრძნობის პატრონია ჩვენი პოეტი. ცხადია, რომ, ამ ძალით აღჭურვილი, იგი ეძებს არა მარტო გარეგანს მიმზიდველობას, ხორციელს სილამაზეს, არამედ სულის მშვენიერებასაც, ეს მშვენიერება პოეტის გამოხატულობით შეხამებული, ჰარმონიული სისრულეა ადამიანისა, სისრულე შინაგანი და გარეგანი. მხოლოდ ამისთანა სულის მშვენიერებით განმსჭვალულთ შეუძლიანთ ჰშობონ ნამდვილი, უანგარო სიყვარული:

ხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს
სიყვარულსა,
შეუძრდომ მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“.

მხოლოდ ამ ნაირი კავშირი ესმის ჩვენს პოეტს. ესეც უნდა იყოს: იგი მეტად წმინდაა, რომ მისი არსება იშვნეოდეს ქვენა ანგარიშს, რომელსამე ჭუჭყიანს გულის წადილს. პოეტის მიერ დასურათებულს გრძნობას ვერ დააბერებს ვერც შემთხვევა და ვერც ხანა. სწორედ ამ მაღალს გრძნობაზეა გამოჭრილი მისი დაუვიწყარი სიტყვები:

…„მას ცისა სხივით აცისკროვნებს
მშვენიერება
და უკვდავებით აგვირგვინებს
ჭეშმარიტება“.

(შემდეგი იქნება)

ნოემბრის პირველამდე იმიერ-კასპიის რკინის გზას სულ შემოსავალი ჰქონია 2.193,237 მან. 92 კაპ., სადეპეშო და სახელმწიფო გარდასახადს გარდა. ამ წლის განმაელობაში რკინის გზის წარმოებისათვის გადადებული 2.418,317 მან. ანგარიშით დეფიციტი უნდა იყოს 330,243 მან., მაგრამ შემოსავალი 1-ლ იანვრამდე არამც თუ ხარჯს დაჰფარავს, სახელმწიფო ხაზინისათვისაც დარჩება.

რომი. მონგაშიამ და რას-ალულამ ალუი აიღეს და შიგ ყველანი ამოჰხოცეს. ეს ამბავი გზაზედ გაუგია შოანის გენერალს სეიუმს, რომელიც 2,000 კაცით მიდიოდა ჯარი მისაშველებლად. ამ გამარჯვებით რას-ალულამ ტიგრეც დაიპყრო და ეს გარემოება-კი საჭიროდ ჰხდის, რომ თვით მენელიკი გავიდეს ბრძოლად და იტალიელებმა დაუყოვნებლივ დაიჭირონ გურა და შტო მარები.

რომი. სამხედრო მინისტრი ამბობს, რომ $17\frac{1}{2}$ მილიონი უნდა გადაიდოს უბოლო თოფის-წამლის შესამზადებლად და 10 მილიონიც იმისთვის, რომ ციხე-სიმაგრეების მხრით უზრუნველ-ყოფილი იქმნას სახელმწიფოვო. ზღვათა მინისტრი 4 მილიონსა თხოულობს.

22 ნოემბერი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი გადაწყვეტით უარჰყოფს ლონდონელ გაზეთის „Dailu News“-ის მიერ დაბეჭდილს ამბავს, რომ ვითომ რუსეთსა და ოსმალეთს ლაპარაკი აქვთ და რუსეთი სთხოვს ოსმალეთს, სამხედრო კონტრიბუციის მაგიერ, დამითმე სომხეთის ერთი ნაწილიო.

გუშინ მარიამის თეატრში პირველად იყო წარმოდგენილი ახალი ოპერა რუმინშტეინისა “Горюша“ წარმოდგენაზედ დაესწრნენ: მათი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, და ბევრი სხვა წევრნი იმპერატორის სახლეულობისანი.

გაზეთები იუწყებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ წესების ძალით, გამსესხებელ კასების დაარსება ამას შემდეგ მხოლოდ იმ პირობით იქმნება ნება დართული, თუ მათი პატრონები შემოიტანენ 30,000 მან. ბეთარ. ასეთი ბე უნდა შემოიტანონ ეხლანდელ გამსესხებელ კასების პატრონებმაცაო.

შემუშავებულია პროექტები იმის შესახებ, თუ რა გზით ეშველოს სოფლის მეურნეობას. ამ პროექტებს მალე წარუდგენენ სახელმწიფო საბჭოსაო.

რომი. რუსეთის აფიცერმა მაშოვმა ძღვენი მიართვა გენლიკსა და სთხოვა, რუსეთში ეთიოპელთა მისსია გაჰგზავნეო, მაგრამ მენელიკს უარი უთქვამს მაზე.

ნიუ-იორკი. სტენლი, ემინი და მათი ამხანაგები მისულან 30 ნოემბერს სოფელს მუას, რომელიც გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. სტენლი და ემინი დაბერებულან. ემინი ერიდება ყოველ გვარ ქება-დიდებას და ჰსურს კვლავ ქედივის სამსახურში შევიდეს 1 დეკემბერს გაუდგნენ გზას ზღვისა სანაპიროებისაკენ.

პარიჟი. გადამდგარი მეფე სერბიისა მილანი აპირობს პარიჟში დასახლდეს, იცხოვროს იქ კერძოდ და არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს პოლიტიკაში.

ვაშინგტონი. ზღვათა მინისტრის წლიურს ანგარიშში ნათქვამია, რომ საჭიროა აგებულ იქმნას ორი საომარი ხომალდი, ოცი ჯავშნიანი გემი სანაპიროების დასაცველად, სამი საკანონერო გემი, თითო ათას ტონიანი და ხუთი ნაღმის მტარებელი ნავი. საომარ ხომალდებში 8 დიდ ოკეანის ფლოტში უნდა იყოს, ხოლო 12 ატლანტისაში. ფლოტის საჭიროებათათვის მოთხოვნილი იყო შარშან 25,599,253 დოლლარი.

პეტერბურგის 17 ბირჟა, ნოემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 54 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $150\frac{1}{2}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 247 „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 247 55 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | $97\frac{1}{2}$ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | $97\frac{1}{2}$ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | $84\frac{1}{4}$ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. $3\frac{1}{2}$
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ $3\frac{1}{2}$
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . „ „
მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 “
ღორის ხორცი . . . . . „ “
„ 2 „ „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამსესხებელ კასსისაგან.

ტფილისის საქალაქო გამსესხებელი კასსა ამით აცხადებს «პრიკაზში» დამგირავეელთა საცნობელად (ვისაც ნივთები აქვს დაგირავებული), რომ მათის ბილეთების ვადა გადის 30 ნოემბერს ამა 1889 წლისას. ამიტომ ზემოდ აღნიშნულ ვადამდე უნდა გამოისყიდონ თავიანთი გირაოები, ანუ ხელ-მეორედ დააგირავონ კასის წესებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გირაოები აუქციონით გაიყიდება.

(3—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—37)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

მან. კაპ.

ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . „ 50
კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . „ 40
ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . . „ 40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . „ 15
Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. . „ 50
გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . „ 30
პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა „ 10
გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . „ 20
ყდით. . . . . . . . „ 70
ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . „ 70
ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . . „ 20

# ნუსხა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის

გირავნობის ფურცელთა,

გამოსულთა მეოც-და-ექვსე ტირაჟში, რომელიც მოხდა

1 ნოემბერს 1889 წლისას

რიცხვით 74,000 მანათისა.

ა) $43\frac{1}{2}$ წლის ვადით:

100 მან. ღირსებისა

2 სერიისა . . № 8.
3 „ . . „ 5 და 28.
4 „ . . №№ 14, 17 და 22.
6 „ . . „ „ 167, 168, 169 და 170.
7 „ . . „ „ 170, 171 და 172.
შემდეგის სერიებისა №№ 944, 945, 1022, 1023, 1025, 1033, 1093, 1102, 1105, 1109, 1132, 1143, 1145, 1195, 1196, 1282, 1318, 1352, 1419, 1472, 1499 და 1574.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა . № 28.
5 „ . „ 3.
შემდეგის სერიებისა. №№ 390 და 401.

ბ) $18\frac{7}{12}$ წლის ვადით:

100 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . № 10.
4 „ . . „ 1 და 7.
7 „ . . №№ 95, 96, 97, 98, 99 და 100
შემდეგის სერიებისა „ „ 963, 965, 967, 969, 971, 972, 1286, 1292, 1293, 1294, 1295, 1544, 1546, 1548, 1550, 1551, 1612, 1613, 1617, 1619, 1633, 1634, 1804, 2066, 2067, 2181, 2182, 2184, 2185, 2313 და 2314.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . № 12.
4 „ . . №№ 14 და 15.
5 „ . . „ 9.
6 „ . . „ 5.
7 „ . . „ „ 32 და 33.
შემდეგის სერიებისა „ „ 304, 305, 341, 444, 560, 624, 625, 748, 1142 და 1199.

1000 მან. ღირსებისა

2 სერიისა . . №№ 72 და 75.
3 „ . . „ „ 28.
7 „ . . „ „ 47.
შემდეგის სერიებისა „ „ 322, 323, 324, 325, 326, 327, 329, 330, 331, 332, 333, 334, 926, 927, 928, 930, 1255, 1256, 1257, 1259, 1260, 1261, 1960, 1961 1962, 1963, 1965, 1966, 1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1974, 1976, 1977, 1979, 2212, 2213, 2214, 2215, 2217, 2613, 2614, 2615, 2616, 2617, 2619, 2621, 2960, 2961 და 3094

სხოლიო:

1) ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ მეოცდა-ექვსე ტირაჟში გამოვიდნენ, და აგრეთვე მიმომდინარე კუპონებზედ, დაიწყება 1890 წლის 2 იანვრიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქმნება ზემოხსენებულ ფურცლებზე სარგებლის ძლევა.

2) გირავნობის ფურცლებს ფულის გადახდის დროს თან უნდა ჰქონდეს ყველა კუპონები იმ დროისა, რა დროც ზემოდ არის ნაჩვენები. თუ კუპონები სულ არ იქმნება და აკლდება, მაშინ დაკლებულ კუპონების ფასი გირავნობის ფურცელთა ღირებულ ფულიდგან გამოირიცხება.

3) ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზე და აგრეთვე ამ ფურცელთა კუპონებზე ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობაში. შეიძლება აგრეთვე ს.-პეტერბურგს, სახელმწიფო ბანკსა, იქვე და ვარშავს ვაველბერგის საბანკირო სახლში და ამას გარდა სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

4) ამ ნუსხაში ნაჩვენებია ნუმრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნუმრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული. შემდეგს სერიებში, რვიდგან დაწყებული, სერიების ნუმრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნუმრები ერთი-ერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა

Дов. ценз. Тифлисъ 22-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.